



Opera (e)Studio 2019/2020

Opera(e)Studio-ს ამ სეზონზე წარმოგიდგენთ **Ópera de Tenerife**, ბოლონიის **Teatro Comunale**-სა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან ერთად, ევროკომისიის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ ფინანსური მხარდაჭერით.



Opera (e)Studio 2019/2020

პირობები:

1. პროექტში Opera(e)Studio მონაწილეობა შეუძლიათ ვოკალისტებს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან;
2. მხოლოდ 1987 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაბადებული მომღერლები დაიშვებიან მოსმენებზე.

რეპერტუარი:

3. თითოეულმა კანდიდატმა მოსმენისთვის უნდა მოამზადოს:
 - არიები და ნაწყვეტები გაეტანო დონიცეტის ოპერიდან „სიყვარულის ნექტარი“ „Ricordi“-ს გამოცემა.
 - როსინის, დონიცეტის ან ბელინის 1 არია რეჩიტატივით, საკუთარი სურვილისამებრ.

ყველა არია და ნაწყვეტი უნდა შესრულდეს ზეპირად.
თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოამზადოს ერთზე მეტი როლი.

ასარჩევი როლები:

როლი	სავალდებულო არიები
ნემორინო, ტენორი	არია “ Quanto è bella, quanto è cara ” დუეტი “ Caro elisir, sei mio ” (ტერცეტამდე) დუეტი “ La donna è un animale stragante davvero ” არია “ Una furtiva lagrima ”
ადინა, სოპრანო	არია “ Benedette queste carte ” დუეტი “ Come sen vacontento ” არია “ Prendi per me sei libero ” (კაბალეტასთან ერთად)
ბელკორე, ბარიტონი	არია “ Come Paride vezzoso ” დუეტი “ La donna è un animale stragante davvero ”

დულკამარა, ბარიტონი ან ბას-ბარიტონი ან ბანი	არია "Udite, udite, o rustici" დუეტი "Voglio dire... lo stupendo elisir che desta amore"
ჯანეტა, სოპრანო	არია გუნდთან ერთად "Saria possibile? Possibilissimo"

რეგისტრაცია:

4. კანდიდატმა სარეგისტრაციო ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია აქ: <https://auditoriodetenerife.com/es/ficha-de-inscripcion> უნდა შეავსოს ინგლისურ ან ესპანურ ენაზე და გააგზავნოს (doc, docx ან rtf ფორმატში) ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: info@operadetenerife.com, არაუგვიანეს 2019 წლის 20 იანვრის 12:00 საათისა და საგანში მიუთითოს "Opera Estudio 2019 - როლი (ან როლები) - სახელი და გვარი" (მაგ. "Opera Estudio 2019 - Adina/Giannetta - Mary Smith"). იმავე ელექტრონულ წერილს კანდიდატმა თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა). პირადობის მოწმობის ან პასპორტის დასკანერებული ასლი;
- ბ). ბოლოდროინდელი ფოტოსურათი jpg ფორმატში;
- გ). შემოქმედებითი და აკადემიური ბიოგრაფია (1 ან 2 გვერდიანი 1 დოკუმენტი doc, docx ან rtf ფორმატში);
- დ). საკუთარი სურვილისამებრ შერჩეული არიის კლავირი pdf ფორმატში (კარგი ხარისხის 1 ფაილად);
- ე) 80 ევროს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა ჩაირიცხოს "Opera(e)Studio de Ópera de Tenerife"-ს საბანკო ანგარიშზე:

IBAN: ES9721008602190200043326
BIC: CAIXESBBXXX

(სავალდებულოა კომენტარებში კანდიდატის სახელისა და გვარის მითითება).

უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, Auditorio de Tenerife ვერ მიიღებს ელექტრონულ წერილებს მიმაგრებული ფაილებით შემდეგი სახის გაფართოებით: zip, rar, 7z, gz, tar, taz, tgz ან 19 მბ-ზე დიდ ფაილებს. იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია შეამციროთ მიმაგრებული ფაილის ზომა გამოიყენეთ Wetransfer ან ფაილები გადმოაგზავნეთ რამდენიმე დანომრილი ელექტრონული წერილის მეშვეობით (მაგ. "Opera Estudio 2019 - Adina - Mary Smith - 3 of 4"). თუ განაცხადის გაგზავნიდან 2 დღის განმავლობაში კანდიდატი არ მიიღებს დადასტურებას, იგი უნდა დაუკავშირდეს ორგანიზაციას (ამავე ელ-ფოსტის მისამართზე info@operadetenerife.com ან ტელეფონის მეშვეობით +34 922568600 ext. 179).

5. მოსმენის განრიგთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას სამხატვრო საბჭო მიიღებს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება კანდიდატის თხოვნა მოსმენის თარიღსა და საათთან დაკავშირებით, თუ ამას წინასწარ მიუთითებს სარეგისტრაციო ფორმის „კომენტარები“-ს ველში.
6. კანდიდატები მოსმენების შედეგებს შეიტყობენ ელ-ფოსტის საშუალებით. იმ კანდიდატებს ვინც ვერ გაივლიან მოსმენას, მოსმენის შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შეეძლება თუ ელ-ფოსტის საშუალებით.
7. სამხატვრო საბჭოს უფლებამოსილია შეაჩეროს მოსმენა ნებისმიერ დროს;
8. სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა;
9. თუ სამხატვრო საბჭო ჩათვლის, რომ არც ერთი კანდიდატი არ არის მისაღები ერთი ან მეტი როლისთვის, შესაძლოა ჩატარდეს დამატებითი მოსმენები;
10. შერჩეული მომღერლები ხელს მოაწერენ კონტრაქტს პროექტში Opera (e)Studio მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდება 2019 წლის 4 სექტემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით, როცა Auditorio de Tenerife-ში დაგეგმილი 4 სპექტაკლი (24-27 ოქტომბერი); მომდევნო სპექტაკლები დაგეგმილია ბოლონის Teatro Comunale-სა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი დატოვებს პროექტს მას შემდეგ რაც დაადასტურებს მასში მონაწილეობას, იგი აანაზღაურებს ყველა გაწეულ ხარჯს, მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯის ჩათვლით;
11. თითოეული შერჩეული მომღერალი მიიღებს სტიპენდიას 2000 ევროს ოდენობით. მგზავრობას და საცხოვრებელს სრული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფს Opera de Tenerife;
12. დამატებითი სპექტაკლების შემთხვევაში, მომღერლები მიიღებენ ჰონორარს;
13. Opera (e)Studio-ს წინა სეზონების მონაწილეები, აღარ დაიშვებიან მოსმენებზე.

მოსმენები:

14. Opera (e)Studio 2019/2020 მოსმენები ჩატარდება:

ბოლონია

4, 5 და 6 თებერვალი, 2019

Teatro Comunale di Bologna

მისამართი: Largo Respighi 1, 40126 Bologna, Italia

თბილისი

8 და 9 თებერვალი, 2019

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 25

მადრიდი

11, 13 და 14 თებერვალი, 2019

Escuela Superior de Canto

მისამართი: Calle San Bernardo 44, 28015 Madrid, España

ტენერიფე

16 თებერვალი, 2019

Auditorio de Tenerife

მისამართი: Avda. Constitución, 1, 38003 Santa Cruz de Tenerife, España

შერჩეული კანდიდატები:

15. შერჩეული კანდიდატი ვალდებულია:

- ა) დაესწროს გაკვეთილებს და პროექტ Opera (e)Studio -ს ფარგლებში დაგეგმილ სხვა აქტივობებს;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს პარტნიორ თეატრებში დაგეგმილ დამატებით აქტივობებში;
- გ) მონაწილეობა მიიღოს „სიყვარულის ნექტარი“-ს რეპეტიციებსა და სპექტაკლებში პროექტის თანა-პროდიუსერ Auditorio de Tenerife-ში, ბოლონის Teatro Comunale -სა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

სხვადასხვა:

- 16. განაცხადის გაკეთება გულისხმობს სამხატვრო საბჭოს პირობებისა და გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც არ ექვემდებარებიან გადახედვას;
- 17. დავის წარმოშობის შემთხვევაში, ორგანიზაცია უფლებას იტოვებს მოახდინოს ამ პირობების ინტერპრეტაცია განაჩენის გამოტანის მიზნით, და იმოქმედებს კეთილსინდისიერად.
- 18. დავის შემთხვევაში, ესპანურ ენაზე შედგენილ პირობების ტექსტს ექნება უპირატესი ძალა.